ხელშეკრულება #183
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 25 ოქტომბერი, 2017 წელი

ერთის მხრივ, შპს „ბათუმის წყალი'' (შემდგომში – „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თენგიზ ქოქოლაძის სახით, და მეორეს მხრივ შპს „csc batumi'' (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან გოგრაჭაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა'' პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს ინტერნეტის ქსელის მომსახურება (CPV კოდი **72710000** - ადგილობრივი ქსელის მომსახურება), შემდგომში – „მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით (მომსახურების ხარჯთაღრიცხვა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

1.2. კარტრიჯები უნდა იყოს დამუხტული მაღალი ხარისხის ტონერით.

1.3. კარტრიჯების ბეჭდის რესურსი უნდა შეესაბამებოდეს საბეჭდი მოწყობილობის მწარმოებლისაგან მოცემულ პარამეტრებს.

1.4. მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3. პუნქტის შესაბამისად.

1.5. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 132 (ასოცდათორმეტი) ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. შემსყიდველის მიერ შესრულებული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, გადახდა იწარმოებს ლარებში, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება 2017 წლის შპს „ბათუმის წყლის'' კუთვნილი სახსრებით.

3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს „ბათუმის წყლის" ადმინისტრაციის უფროსი ზაზა გოგიტიძე.

3.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციაა შესრულებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

3.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

4.3. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.

4.4. შესრულებული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შპს „ბათუმის წყლის“ ანგარიშსწორების სამსახურის უფროსი გიორგი ბიწაძე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.

ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.

5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,25%-ის ოდენობით.

6.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, მხარეს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
7.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

8.1. მომსახურების გაწევისა ვადაა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი.
8.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
8.2. დამუხტული კარტრიჯების მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, თაბუკაშვილის ქ. #19, შპს ,,ბათუმის წყალი''.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გადასახადები და ბაჟები

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

13. სხვა პირობები

13.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
13.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.
13.3. ხელშეკრულება იდება სამი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

შპს „ბათუმის წყალი''
მის: ქ. ბათუმი, თაბუკაშვილის ქ. #19
ს. კ. 245556679
ს.ს. „საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE58BG0000000264853901
ტელ: 577210600
ელ. მის: info@bats.ge
გენერალური დირექტორი:
თენგიზ ქოქოლაძე

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

შპს „csc batumi''
მის.: ბათუმი, ზ გორგილაძის ქ. #86
ს. კ. 448386425
ს.ს. „თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE52TB7563236080100001
ტელ: 593242439
ელ. მის: cscbatumi@gmail.com
დირექტორი:
ამირან გოგრაჭაძე

(ხელმოწერა)

ინფორმაცია გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვის შესახებ

№	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ქსელის გამანაწილებელი - SF1024M, TP-Link, 24-Port 10/100Mbps Desktop Switch	1 ცალი	95	95
	ჯეკი cat 5	32 ცალი	0,25	8
	კაბელის არხი 25*25	10 მეტრი	1,5	15
	კაბელის არხი 15*10	14 მეტრი	1	14
	მომსახურების საერთო ღირებულება		132 ლარი	

,,შემსყიდველი“

ბ.ა.

ხელმოწერა

,,მიმწოდებელი“

ბ.ა.

ხელმოწერა

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი

25 ოქტომბერი, 2017 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირები ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ინტერნეტის ქსელის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „ბათუმის წყლის"
გენერალური დირექტორი: თენგიზ ქოქოლაძე

შპს „ბათუმის წყლის“
ადმინისტრაციის უფროსი: ზაზა გოგიტიძე